



## I. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმება

სადისერტაციო ნაშრომი საბჭოს უნდა წარედგინოს სამ ეგზემპლარად, აკინძული და ყდაში ჩასმული, ელექტრონულ ვერსიასთან (PDF) ერთად (კომპაქტდისკზე - CD).

1. **ქაღალდი:** თეთრი, 70/80 - გრამიანი.
2. **ფორმატი:** A4 (210 X 297).
3. **გვერდების რაოდენობა:**
  - ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა: 150-250გვ.
  - ბ) ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა: 100 – 220 გვ.(გვერდების ზემოაღნიშნულ რაოდენობაში არ შედის გამოყენებული ლიტერატურის სია, დოკუმენტური მასალის დანართი, ცხრილი, ფოტომასალა და სხვ.).
4. **შირიფტი:** ნაშრომი სრულდება ნებისმიერი Unicode შრიფტით (მაგალითად Sylfaen). ტექსტის ზომა - 12, თავის სათაურის ზომა - 16, პარაგრაფის სათაურის ზომა - 14. ინტერვალი - 1.5.
5. **მინდორი:** ფურცლის ოთხივე მხარეს 20 მილიმეტრი.
6. **ყდა:** მაგარი მასალისგან (ნებისმიერი ხარისხისა და ფერის).
7. **ტექსტის ნუმერაცია.** ნუმერაცია იწყება სატიტულო თავფურცლიდან (გვერდიდან), თუმცა სატიტულო თავფურცელზე არ დაისმება ციფრი 1. მთელ ტექსტში ნუმერაცია დაისმება ფურცლის ბოლოს, მარჯვენა კუთხეში.
8. **სადისერტაციო ნაშრომის სატიტულო თავფურცელი (გვერდი).** სატიტულო თავფურცლის (გვერდის) ზემო ნაწილში მიეთითება ქართული უნივერსიტეტის სრული დასახელება: „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი“ (შირიფტი: 12, Bold), შემდეგ დისერტანტის სახელი და გვარი (შირიფტი: 16, Bold), შუა ნაწილში სადისერტაციო თემის სრული სათაური (შირიფტი: 18, Bold), სათაურის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი და თანამდებობა წოდება (შირიფტი: 14, Bold, Italic). სატიტულო თავფურცლის (გვერდის) ქვედა ნაწილში აღინიშნება დაცვის ადგილი (თბილისი) და დაცვის დრო (წელი) (შირიფტი: 12, Bold). (იხ. ქვევით **დანართი**).

## II. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

1. **სადისერტაციო ნაშრომის სარჩევი (შინაარსი)** - სარჩევი (შინაარსი) იწყება სატიტულო თავფურცლის გვერდის შემდეგ. სარჩევში გატანილი უნდა იქნას არამართო თავები, არამედ პარაგრაფების დასახელებაც (სარჩევში ცალ-ცალკე მიეთითება ანოტაცია, შესავალი, თავები და პარაგრაფები, დასკვნა, დამოწმებული ლიტერატურის სია, ყველანაირი დანართი).
2. **სადისერტაციო ნაშრომის ანოტაცია** - ანოტაცია უნდა შესრულდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ანოტაციის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 გვერდისა (თითოეულ ენაზე). ანოტაცია იწყება სატიტულო თავფურცლის (გვერდის) შემდეგ ახალი გვერდიდან.
3. **სადისერტაციო ნაშრომის შესავალი** - შესავალი იწყება ანოტაციის შემდეგ, ახალი გვერდიდან.
4. **სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი (თავები და პარაგრაფები)** - ყოველი თავი იწყება ახალი გვერდიდან, ხოლო პარაგრაფი გრძელდება იმავე გვერდზე, სადაც დამთავრდა



## საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

წინა პარაგრაფი. თავის დასახელებას ტექსტი უნდა დასცილდეს 2 ინტერვალით, პარაგრაფის დასახელებას - 1,5 ინტერვალით.

5. **სადისერტაციო ნაშრომის დასკვნა** - იწყება ბოლო თავის შემდეგ, ახალი გვერდიდან.
6. **გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია** - გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია იწყება დასკვნის შემდეგ, ახალი გვერდიდან. დასაშვებია წყაროებისა და ლიტერატურის სიის ცალ-ცალკე შედგენა, ნუმერაცია ექნება საერთო.
7. **დანართი** (საჭიროების შემთხვევაში) - დანართი იწყება გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიის შემდეგ. ყველა დანართი იწყება ახალი გვერდიდან და მის მარჯვენა ზედა ნაწილში მიეთითება: „დანართი #...“ (სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ტექსტსა და დანართს შორის კავშირი მყარდება სიტყვებით: „იხილეთ დანართი #...“). ცხრილებისა და დიაგრამების გაფორმებისას უნდა მიეთითოს ცხრილისა და დიაგრამის თემატური დასახელება და ნომერი. დანართში განთავსებული ფოტოები ინომრება და მიეთითება შინაარსიდან გამომდინარე წარწერა.



საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

სატიტულო გვერდის თარგი



საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

## დისერტანტის სახელი და გვარი

სადისერტაციო თემის სრული სათაური

*სამეცნიერო ხელმძღვანელი*

*სახელი, გვარი,  
სამეცნიერო ხარისხი და თანამდებობა*

თბილისი

201\_\_